

ყოველ დღე ორზაბათს გარდა

# ფრომეტი

ცალკე ნომერი ღირს რუბლად

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგოვეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციის: სერგოვეის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარე შე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИШ. № 8. Въ редакцію газ. „Фрометъ“.

გაზეთის ფასი: მთელი წელი — 8 მან., ნახევარ წელი — 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულსა და რუსულს, სომხურს და სხვა ენებში.

ფასი განცხადებისა: დღი ასოებით ასოზე — 1 კაპ., ასო-მოთარეული სტრიქონზე — 8 კაპ., ჩვეულებრივის სტრიქონით — 5 კაპ., პატარა — 4 კაპ.

რედაქციას უშუალოდ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელო სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 18 მაისს. ინგლისის ბანკმა დანიშნა თავის დისკონტი 2 1/2 სარგებელი (პროცენტი).

პეტერბურის ბიჩა, 19 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი) მან. კაპ.

ლონდონი	—	24	37	„	„
პეტერბურში	—	124	—	„	„
პარიზი	—	207	—	„	„
პარიზი	—	256	—	50	„

შინაგანი: 5% სესხის ბილეთები პირველი სესხისა — 236 — „ მეორე სესხის — 230 — 75 ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის	—	98	—	12
მეორე	—	95	—	87
მესამე	—	95	—	62
მეოთხე	—	95	—	62
აღმოსავლეთის	—	94	—	62
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	8	—	15

## საქართველო

დღიური

\* \* მოგვხსენებთ, რომ ხმოვანის უფ. სურგუნოვის წინადადებით, ქალაქის რჩე-

## ფელტონი

მუთაისის ბანკის წევრთ ვიორა ჩუპულაძისი კრება

(გაგრძელება)

დ. აბდუშელიშვილი სცენაზე წარმოადგება; კარგა მალა და გაკვრით წიკითხავს კიდევ ხსენებულს ინსტრუქციას.

ს. ლულაძე ყოველ მუხლს უთუოთ რასმეს დაძენს: ან „ჰო, ასე უნდა იყო“ იტყვის, ეს კარგია! საზოგადოება კი უფრო იმის შენიშვნებს აქცევს ყურადღებას და დასცინის, მათ ვიდრე ინსტრუქციას.

ათი მინუტიც გაივლის. ზალიში კიდევ ხმაურობაა. იამის ზარის ხმა. სიჩუბე. შევლას თავიანთი საჯდომი მოკავებული აქვს.

ზაკეთებენ ორიოდ შენიშვნას, შევლიან ორიოდ მუხლს, გამოიციხვენ იარაღის აყრაზე მუხლსაც და დაამტკიცებენ ინსტრუქციას.

თავსა და მარე. მეორე განსახილ-

ვამ გადაწყვიტა, რომ, გამოსაცდელად გაენათებინათ გაზით სოლოლაკის ხუთი ქუჩა. მართლაც, მაისის დამდეგს ახალი ფანრები დაახზადეს და კიდევ განათეს ხსენებული ქუჩები გაზითა.

რალა თქმა უნდა, ყველანი დარწმუნდნენ, რომ გაზით განათება ბევრად უფრო მოხერხებული და უკეთესი იქნება ქალაქის ქუჩებისა და სახლებისათვის, ვინემ ნავით; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ შეიჯარადრეება უფ. სტრატელლამ და ინსენმა უარი განაცხადეს პირობის აღსრულების; ასე რომ ორი დღის განმავლობაში კი იყო ქუჩები გაზით განათებული და მერე ისევ ნავით დაიწყეს განათება.

მეორე მხრით უფ. ქასუმოვსაც გაუვიდა კონტრაქტის ვადა ქალაქის ქუჩების განათებისა და ამის გამო ქალაქის ზამგეობაში ამის თაობაზედ ახალი ვაჭრობა არის დანიშნული. ამბობენ, ამ იჯარის აღების მსურველთ პირი მიუციათ ერთმანეთისათვის, რომ 27—28 მანეთ ნაკლებ არ ავიღოთ თითო ფანრის განათება წელიწადში. ახლანდელი მოიჯარადრე უფ. ქასუმოვი კი, როგორც ამბობენ, 32 მანეთს თხოულობს.

\* \* \* \* \* თუ არ ვცდებით, კანონით, პირველ მარტიდამ აღკრძალულია ნადირობა ისეთს გარეულ მხეცებზედ და ფრინვე-

ველი საგანი განლაგოს წარსულ დროის ჩვენი ბანკის ანგარში, რომელიც თქვენგან დამტკიცებას ელის. ასე მშრალად იპის წაკითხვა და თქვენგან მისი გაგება შეუძლებელია... იმაში ისეთი არაფერი არა განლაგეთ რა, რომ საშიშს რასმეს წარმოადგენდეს. ანგარიში ესე განიხილა წესიერად ჰოვია შედამხედველმა პოპიტეტმა. აქვე გვაქვს ქართულად იქილამ ამოკრეფილი შემოკლებით რამდენიმე ცნობა, შესახებ სესხის წარმოებისა ბანკის მართველობისაგან, და იმას წაგიკითხავთ.

პითხულობს თავსა და მარე. ბათავა კითხვა. ზალაში ბუზი რომ გაფრინდეს, გაიგონებთ.

თავსა და მარე. როგორ გნებავთ, ბატონებო: დაამტკიცებთ ამ ანგარიშს, თუ . . .

ლ. ლ. ლ. უ. ა. (სცენიდამ ვითომ წადა და ყრუთ). ანგარიშის დამტკიცება ყოველად შეუძლებელია; საჭიროა ამოვიჩიოთ კომისია, რომელმანც უნდა განიხილოს და ანგარიშის ანგარიში წარმოვიდგინოს.

ლებზედა, რომელნიც მიანებებლად არ ითვლებიან აღამიანისათვის.

ამ კანონს ჩვენში ყურადღებას არ აქცევენ ხშირად შეხედებით ხოლო ამ ქამად ჩვენს ქუჩებში მონადირეებს, რომელნიც სანადიროთ ყოფილან სადმე ქალაქის ახლო-მანლო ადგილებში ან ურკინის გზით და დახოცილი კურდღლებითა და მწყერებით მოდიან.

\* \* \* \* \* თფილისის ბანცხადებაში „მიატყვევენ საზოგადოების ყურადღებას ერთს მართლაც საყურადღებო გარემოებას:

ქალაქის გარშემო, ყოველის მხრით, საიღამაც კი შემოაქვთ ახლო-მანლო სოფლებიდან გასასყიდლად ქათმები, ინდაურები, ქერი, ბზე, შეშა, კვერცხი, წვანილი, ხილი და სხე, ყველგან გამოართულია დუქნები, რომლის პატრონები უხედებიან გზაზე ამ სოფლიდამ მონავალ ხალხს და ხშირად ძალ-დატანებით ჰყიდულობენ იმათგან ნახევარ ფასად ყველაფერს, რაც კი წამოუღიათ შინიდან ქალაქში გასასყიდლად; შემდეგ ამათ შემოაქვთ ქალაქში და ერთი-ორად ჰყიდიან...

ურიგო არ იქნება, რომ ვისგანაც ჯერ არს, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექციოს.

\* \* \* \* \* ოდესის გაზეთებში იწერებინ, რომ, რადგან წელს ჩვენებურ ფულს

თ. ირ. ლ. ორთქი ფან იძე. (ლოლუს სიტყვებისათვის მოუკრავს ყურით). ბატონებო! ნუ ინებებთ ასე ამ ჩარად ანგარიშის დამტკიცებას. აქ ქრუ, უნდა დელი ხაზი ბევრი არის, რომელთაც რუსული კი არა, ქართულიც არ იციათ. რა უნდა გაიგონ მაგ ანგარიშიდამ? ამასთან მოგახსენებთ, რომ ჩვენს ბანკზე ბევრი ცუდი ხმები ისმის თუ სიტყვიერად და თუ ბეჭედით. შევლა ამ ხმების გასამტყუნებლად და ქვეყნის საყვედუროს დასაშორებლად, დენიშნოთ კომისია, მივიწოდოთ მანგანჩიოს, როგორც რიგი იყო, ვბანგარიში და თავისი დასკვნა მოგახსენოთ. (როდის? იამის ხმა.) მე, ჩემ-და-დავად, მოგახსენებთ, რომ მე არ შემიძლიან დღეს მოგახსენოთ მაგ ანგარიშის დამტკიცების დრო ან „ჰო“ ან „არა“.

დ. აბდუშელიშვილი მოკმესიაზე უარს ჰყოფს, რადგან მისი მუშაობა ძლიერ შორს წავაო და მანადილის თქვენ აქ არაფერ მოგიცდითო.

ი. ლორთქიფანიძე „უცილობებს“.

პ. მ. რ. ს. თ. ა. ვ. მისაც რამე გეჭე

წამულარ გარეთ კარგი ფასი არა აქვს, ამის გამო ძალიან ბევრი ავთომოთები რუკითადმ მეროპაში ევლარ მიდიან, და ძველასიის მადნის წყლებში აპირებენ სააქიმოთ წასვლასაო.

\* \* \* თილისის შობაზე გვაცნობებს, რომ ამ დღეებში სტამბოლიდან გასულს ომში ტყვედ აყვანილი მილიციონერი—ლეკები დაბრუნებულან ჩვენში. შველას კარგათ აცვიათ, არაფერ არ სჩივის ოსმალოებისაგან ცუდათ მოპყრობაზედაო. თითო ჩვენს ტყვეში რუსის მმართველობას სამი ოსმალოს ტყვე გაუტყლია.

„დროებას“ კორესპონდენცია

სოფ. ნაფარაშლი, 15 მაისს. მგონია ტყუილია ის აზრი, რომ „ქალაქში მეორეობას სოფელში პირველობა სჯობიაო“! რა სიჩუქია, ღმერთო ჩემო, სოფელში! აქ გგონია სულოერი არაფერი არ არის აქაო. შეჩერებისარ ამ მშვენიერს, ედემის მსგავსს ბუნებას, ის გიტაცებს, გართობს, გგონია ეს-არის ხმას ამოიღებს და ჩვენი ლაპარაკით დაეარღვევთ ამ უცნაურს საფლაურ სიჩუქესაო. მაგრამ ნაცვლად იმისი ხმისა მოისმის კენესა ხალხისა, ის კენესა, რომელიც ყველასთვის არ არის შესამცნევი, რომელსაც ყურს უგდებენ არა ყველანი. ზესმის ეს საზარო ხმა და მაინც კი რწმუნდები, რომ ედემში, აღამის პირველ საცხოვრებელ ბაღში ათა ხარ; არა ხარ უკაცურ უდაბნოში; არამედ ხარ საღისის შუა...

აბა ყური მიუგდე იმ კენესას, გაიგე მიზეზი და უშველე, შეაწყვეტინე ტრემლის ღვრა! აი საქმე დიდებული და პატიოსანი! სდილობ კიდევ, ფათურობა, გინდა დაიხსნა გაჭირებისაგან; მაგრამ, ორევი! რა ვერ გააგებინე, რომ უბედურებისაგან თავის დახწევა კარგია, რა ვერ აიყოლე, რომ თავი დაახწევირა!..

გაქვთ ანგარიში, თქვით და აქა რიან ბანკის მმართველობა და ზედამხედველი პოლიტიკი და ისინი აციხისნიან. ჩვენ ამოვირჩიეთ პოლიტიკი, რომელსაც მივანდევით ანგარიშია განხილვა და ბანკის საქმეებთან და წიგნებთან შეთანასწორება ი) კაცებს აგერ მოუწერიათ ხელი, რომ ყველაფერი წესიერად არის შემდგარიო და თუ არ ვუჯერებთ, ქე რაღაზე ვირჩევდით! ახლა რომ კამისიას ამოიჩინებთ, თქვენ გგონიათ იმათ კი დაუჯერებთ? ძაღვე უნდა ამოვირჩიოთ მესამე კომისია, რომელმანც მეორე კომისიის ანგარიში უნდა განიხილოს. აღარც ამას დაუჯერებთ და ასე არ გათავდებულა მიდღემში სვენი საქმე აღარ დამტკიცებულა ანგარიში!..

ს. ლუღაძე. არა, ბატონებო! მე სრული თანხმა ვარ თ. ლორთქიფანიძისა, რომ დაინიშნოს კამისია (არ-იქა, სოლომანი! ისმის ხმა.)

დ. ბაქრაძე. (ტუჩები უცახცახებს, თითქო რაღაცასი ეშინიანო). ბაზეთები, ბატონებო, ორს შეცთომილებას ჰპოვებენ ამ ანგარიშიში, რომელნიც ბან-

შკოლის საქმე ჯერ-ჯერობით ძალიან ფეხ-მამეთ, თითქმის ცუდათაც მიდის. მიზეზი ის ხალხია, რომელიც არ ატარებს შევილებს შკოლაში, რომელიც შკოლაში მიღებია პირველ დღესვე მოვლის, რომ იმისი შეილი წიგნების აბგას სწავლით სავსეს მიიტანს შინ. მეორე დღეს ის აღარ ჰგზავნის შკოლაში ყმაწვილს: ორი-სამი დღის და ხშირად მთელი კვირებს და თვეებსაც ნახირში ვარჯიშობის შემდეგ იქვე გამოგზავნის შკოლაში; და ასე ამაჩრად იკარგება ფუჭად დრო მასწავლებლისთვის და მოსწავლეებისთვისაც. აქას დაუმატოთ ის სამწუხარო მოვლენაც, რომ ბევრი მასწავლელი მოხარულიც არის ყმაწვილობას შკოლაში მიუსვლელობისთვის; ღმერთო, ნუ მიწყენს იმართლის თქმას, და რამდენიმე მასწავლებელი მეგულებდა მე, რომლებიც მარტო იმიტომ არიან შკოლაში, იმიტომ არიან მასწავლებლებად, რომ ჯამიგრი მიიღონ.

ამ თვეში სოფლებში დიდებაზედ დავლა იციან დედა-კაცებმა. ამ დავლას აქაურად ის მნიშვნელობა ჰქონია, რასაც ქალაქებში მაისობა ნიშნავს. მხოლოდ ქალაქებში ეს მაისობა სეირნობით და პოკნიკებით ბოლოვდება. აქ კი დიდებას სარწმუნოებისი მნიშვნელობა აქვს: რამდენჯერმე სოფლის გარს შემოვლის და სალოცავების დავლის შემდეგ დიდება თავდება და ზედ მოპყვება საზოგადო საღილი დედაკაცებისა.

არიან ისეთი სოფლის მასწავლებლები, რომლებიც ამ დღეებს უქმობენ, შკოლა დაკეტილი აქვთ. ძარგია, ამისთანა დღეები რო ეიანგარიშოთ, სად წაგვივა საქმე!

სასოფლო ბანკების საქმე ცუდად მიდის: ხალხი იმას რაღაც სხვა თვლით უყურებ: „ი! ფულები დამეკარგებ, გარდასახად დამეწერება და მე ჩემი-

კის წესდება ეწინააღმდეგებიან: ერთი ავანსებით ფულის გაცემა და მეორეც ისა, რომ ბანკის მართველობას სარგებლიანი ქალაქების ვაჭრობა შემოაღლია. ამ თავის სიტყვებს განიმეორებს უ. ბაქრაძე და ზედაც დასძენს, რომ ისიც თანხმაა გაზეთების, რომ ეს ორი მოქმედება ბანკის მოქმედებისა წესდება ეწინააღმდეგება.

ი. ლორთქიფანიძე. აღტაცებით წარმოსთქვამს, რომ თვით ზედამხედველი პოლიტიკის წევრიც კი ამბობს, რომ ანგარიში შეუცთომელი არ არის, ბანკის მმართველობა უკანონოთ იქცეოდა და ეხლა უფრო მეტის სიბეჯითით თხოულობს კომისიის დანიშვნას.

ბ. ლოღობერიძე. მაღის კათედრასთან და სიტყვის ნებას თხოვს თავმჯდომარეს. მიიღებს ნებას და დაიწყებს ბანკის მმართველობის გამართლებას იმ ორს ბრალდებაში, რომელიც უ. ბაქრაძემ ვითომ გაზეთების სიტყვით წარმოსთქვა. უ. ლოღობერიძე ადამილამ მოპყვა და აბრამზედ რომ მიალ-

ვე ხელით რათ უნდა გამოეწევა ყელიო! შიმისოთაც რამდენი ცვლენებადები მაქვს, ის არ მიეყოფა, რომ ახალიც არ მიუპატოვო!“ არწმუნებ, რომ ეს ცრუ აზრებია. მეტყვი: „ბატონო, ბანკი რა ჩვენი საქმეა (გლენები ვართ, ჩვენი საქმე ვენახია, მუშაობაა!“ არწმუნებ ამის სიცრუეშიაც, წარმოუდგენ იქვე თვალ-წინ ხანახს მაგალითს, რომ ერთი მედუქნე სომეხი ნისიების ერთს თუ-მანს ხუთის თვის ვადით (სწარედ ღვი-ნის დაწურვის დროისთვის,) აწერს ვალად უსარგებლოდ, მაგრამ მეორე ქალაქდებზედ კი სხვა ვალს უწერს, თუ-მანზედ ხუთი თვის სათვებლად ოთხი ჩაფი კარგი ღვინო, რომელიც ეხლონდელი ფასობით, თავნ-ფულზე მეტს თუ არა, ნაკლებს არ შერება და დაწურვის დროს ექვს მანეთ მაინც.

აი მეოქი, ეუბნები გლენებს, შენ რომ ამხანაგად იყვე ბანკში, იმ ექვსი მანეთის სარგებლის მაგივრად ათს შაურს მისცემდი ბანკს სარგებელს, დანარჩენი, ხუთი მანეთი და ათი შაური შენ დაგრჩებოდა და ფოჭვის ფულს ნახევარს გაგისტუმრებდა-მეთქი. ღმერთმა გადღეარდლოს, კარგს გვეუბნევო, ვგრე უნდა მოვიქცე, უნდა შევიტანო ბანკში ფულიო. მაგრამ ამას იმ მინუთში გეტყვის, მეორე მინუთში ევლარ დაინახავ მიდის. მაღის სომხებთან, ახალს ნისიებს იღებს და იწერს ისეთსავე ახალს ვალებს.

ამ გეარ შემთხვევებში საქაროა ხალხი, გავლენიანი ხალხი, რომლის დარჩებას ფასი ჰქონდეს გლენებისთვის. თორემ უტხო ვანმე, რაც უნდა იყვეს, გლენისთვის უფასოა...

ამინდები წელს აქეთკენ კარგია, მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუ ამის შემდეგ უბედურება არა ეწვია-რა. ამის გამო გლენი უფრო მხარულად, უფრო ხალისიანად არის.

წია, თ. ი. ლორთქიფანიძემ ევლარ მოითმინა და წამოიძახა:

— ჩვენ ბატონებო აქ ფინანსიური ლექციის მოსასმენელადარ მოგსულვართ. თავმჯდომარის რიკი არის, რომ წაართვას სიტყვა უ. ლოღობერიძეს ანა და სთხოვოს, რომ იგი საქმეს დაუახლოვდეს.

თავმჯდომარე. მე მგონი, რომ ბ. ლოღობერიძე საქმეს ამბობს. ია მეტს არაფერს არ ამბობს...—ბანავრძეთ, უ. ლოღობერიძე..

ბ. ლოღობერიძე. განავრძოთ თავისი სიტყვა, თუმც ცოტა შემოკლებით და როგორც იქნა მოაბა კუდიც. იპან თავისი სიტყვებით მსმენელთ დაუმტკიცა, რომ ბანკმა რაც იმოქმედა ამ ერთი წლისა და ნახევრის განმავლობაში, ყველაფერი კანონიერი იყო და წესდების დაუზღვეველი.—

ნეტავი იმას, ვიაც მისი მართლა რომ „ფინანსიური ლექცია“ გაიგო!... დ. ბაქრაძე (ცოტა მკრთალათ). მე არ მიტყვამს, რომ ეს ორი მოქმედება ბანკის მმართველობისა წესდების და-



მაყალის შემდეგ, შეკმაზეს ერთი უცბა-  
რი ჯაგლაგი და ღამის თერთმეტს საათ-  
ზედ იერის ხილზედ მოეჩინა ჩაღლით. აქ  
იამშიკმა მოითხოვა ცხენების დასვენე-  
ბა. მეღუქნეს მარტო ქერი ჰქონდა, რომ-  
მელსაც ბალახი ამჯობინა იამშიკმა და  
გამოიყვანა საძოვრათ ცხენები. მარჯის  
საათის შემდეგ იამშიკი გამეპარა ცხე-  
ნებით და ცის შემყურალი დავრჩი ლა-  
ფის მორევით გარემოცულს იერის ხი-  
ლის ღუქანში.

შათენდა და ძლიეს ათს საათზედ გა-  
მოვებდე წამოსვლა აზამბურის აღმარ-  
თის შემოღვომა წელზედ ლაფში. ღაი-  
კარგა ფული, დაიკარგა ცხენები!

მინა თქვა ფული ყოვლად შემძლებე-  
ლიაო? — მიქარგვა, მეტი არაფერი: ყო-  
ვლად შემძლებელი ქვეყნიერობაზედ უსი-  
ნიდისობაა, მეტი არაფერი!...

შემხედა ილბალზედ ერთი ცხენოსანი,  
რომელმაც სამ მანეთათ მომიყვანა აზამ-  
ბურამდის, სადაც ცხენების უყოლფელო-  
ბისა გამო დავრჩი საღამომდის. აქაც  
ბედზედ სართიქალული მიშელის ფურ-  
გონი სამ მანეთათ მომჩვენა ცამ და  
ორ საათზედ სართიქალას დაფუკარ თა-  
ვი. სართიქალიდგანაც მაზიანამდის სხვა  
ფურგონმა მომიყვანა ოთხ მანეთათ.  
მაზიანაშიც ვერხებოდი. ამ დროს ორ-  
ხევის ტროიკები იყო და სანამ მანეთი  
არ მივეცი „ნავოდიკ“, ფეხი არ მოი-  
ცვალა, რაზედაც სმოტრიტელმა ჰსთქვა,  
რომ „მაგათი ნებაო, მე არა ვიცი-რაო“.  
პროგონიც ცოტა არ იყო აკვრით გა-  
მომართვეს. მოვედი ორხევიში — ცხენე-  
ბი არ არისო. აქაც დაიკარგა პროგო-  
ნის ფული (მაზიანაში იღებენ თფილი-

სამდის). მიქირავე ჩაფრის ცხენი და ჩა-  
მოვბრძანდი თფილისში ტალახით გა-  
ხამებულის ტანისამოსით.

მს ესრე. მაგრამ დავიჯერო ყველა  
წყარო, საიდგანაც უ. მირზოვეის ჯიბე  
სუქდებდა, ესრეთი მღვრიევა? დავიჯერო  
ამისთანა უსინიდისობა არც ერთს გუ-  
ლის ძაფს ანძრევს? შამ გაუმარჯოს უ.  
მირზოვეის აუარებელს სიმდიდრეს შაუ-  
მარჯოს მისს პარაკლის — შარაბაღელ  
სტაროსტებსა და იამშიკებს!

პ. სვილოელი

10-ს მაისს, თფილისი

## განსხვავებანი

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი**  
**კეპრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ.  
აეალიდილის, (ტუკიაში, შლისავეტინისკის  
ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრუ-  
ლობს ამ კეპრების გაკეთებინებას თავის  
ხელმძღვანელობით.

(5—1)

### გამოვიდა და ისეიღვა

„სოლი ვიტირო, თუ ფული?“

პომედია აღ. თუთაევისა

**ისეიღვა:** ძალაქში — ყველა წიგ-  
ნის მალაზიებში და ალექს ჯიმშერო-  
ვან, თელავს — იოსებ ტუზმანაშვილ-  
თან, შარელს — დავით შეროხაშვილ-  
თან, ხაშურისა და ბეჟათუნის  
უჭეტში, სურამს — ზაქარია არუ-  
წოვთან, შუთაისს — იაკობ ოქანე-  
ზოვთან და სვ. სერვაძესთან ფოთში  
— მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს  
— თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს —  
თ. ნაკ. დიასამიძესთან, მეჯვრის-

ხევეს — მასწ. მასე ნათაძესთან, შორ-  
ში — სტ. ზომოცეთაშ და თფითონ აე-  
ტორთან.

## ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-  
დაპირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომ-  
მეგონი ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთ-  
თვის სასყიდლოდ ეჭარებთ, რომ ამ  
ქარხანაში კეთდება და მუდამ მოი-  
კრება დამზადებული ყოველგვარი  
ტყავი წალავისთვის, უნაზირისა, ქარ-  
მის და ფამტონებისა, ჩამქვებისა ლა-  
ნხა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ  
საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტო-  
რაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრე-  
თვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუყე-  
თოს და გაუყეთებენ. წვირილ-წვირილად  
ამ ქარხანის საქონელი იყიდება მალა-  
ზიაში, სიონის პირ-და-პირ.

(25—21)

## ახალი წიგნი

„სოლი თუ გინდათ, მს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდელო  
შასილი აბაშიძისა

იყიდება: თფილისში — მართანო-  
ვის წიგნის მალაზიაში.

შუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის  
ბიბლიოთეკაში.

ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში

შუთაისში — იყიდება  
ქართული წიგნი

## „სამზარეულო“

შედგენილი

ძნა ბარბარე ჯორჯაძისაგან.  
ფასი ათი რუბლი.

რკ. გზა.	ლილა.	სალაბ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	მაზანდა	მან კაპ	თფილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 17 მაისს.		მრევნის მედანზე, წინამძღვაროვის
მცხეთა	10 11	6 27	68	38	შუთაისს, ფოთს	1	შქვ. თ. ბანჯისა, ფო-	1 40	სახლებში.
ზორი	11 58	9 43	2 40	1 33	ზორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	შქვილი წითელი	1 30	ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე,
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდუნას, მოსკოვს	2	ქერი ფული	1 20	კვირას გარდა, დღის 9—1 მინ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარაშავს	2	ბანბა მრევნისა, ფული	7 50	მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. : მიუჩარიაცი — ხი-
შკირილა	5 49		5 81	3 23	მსხალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფული	8 50	რურგი, შ. რალევიჩი — შინაგ. ავთამუ.
რსთხი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და სფრანკეთში.	3 50	ბაპენტილი ბამბა ფული.	10	ს ა მ შ ბ ა თ ს : მერმევი შინაგ.
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფო.	7 50	ავთმყოფობის, რეიხი და ბ. სტონი
აბ. სენაკი	—	—	8 57	4 76	<b>ფო. შტა</b>		— მარაქამისა ფო.	4 50	— ბემიაობის თვალის.
ფოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისი-დან: სამზღვარ გა-		აბრეშუმი ნუბური სტ.	2	მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. : მერმევი — ში-
ფოთი	9 13				რეთ, შუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე		ძონი, ფული	5 50	ნაგანი ავთამყოფ, ბაკეტა — გულის და
აბ. სენაკი	—	—	1 18	66	კვირას გარდა, ზუგდ. ორშ. და სამშ.		შონის სამთელი ფული.	8	ნგრეების ავთამყოფ.
სამტრედია	11 16		2 6	1 14	მ. შურ. — შარასკ. და ორშ. ქახეთს —		სტეარინის სამთელი, ფ.	13 20	ხ შ თ შ ბ ა თ ს : მერმევი — ში-
რიონი	12 13		3 4	1 69	სამშ. და შაბ. ბ) შუთაისი-დან:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	81	ნაგანი ავთამყოფ. ბაგინისკი — ქალის
შკირილა	1 18	ლაგე	3 98	2 21	თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ		— ცხერისა, ლიტოა	81	და მ. ბ. რ. ს. — ბილის.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	დღე, კვირას გარდა, მ. შურგეთს —		სპირტი, ვედრო	5 20	პარასკევს: მერმევი — შინაგ.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	ორშ. და შარასკ.		შაქარი, შროც, ფული	8 30	ავთამყოფ. ბ. სტოვი და შიუჩარიაცი.
ზორი	7 5	4 8	3 64	9	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	— ფხვილი ფული	6 40	შ. ბ. ა. თ. ს. : მერმევი შინაგანი ავთ-
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4	და სამზღვარ გარეთ:		ქავა გოგალი, გირე.	70	მუფობის, რე ხი — თვალის ავთამყოფ.
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	ღ. წიგნის	4	შ. თი ქუნჯულისა ფული.	13	და ბაკეტი — გულის და ნეკების.
					დ. ბეკდილის (ხანი მისხალი)	8	თამბაქო, საშუალო ფული	8 50	